№ 251
სამშაბათი, 24 ნოემბერი, 1898 წ

1877—1898

ივერია

№ 251
სამშაბათი, 24 ნოემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს,
პირველად
ᲔᲤ. ᲛᲔᲡᲮᲘᲡ მონაწილეობით
ბენეფისი **პ. მესხისა**
წარმოდგენილი იქმნება

კოდგრი აზნაური

ხუთ-მოქმედებიანი კომედია თარგ. ვ. აბაშიძისა.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორნი Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ და Პ. ᲛᲔᲡᲮᲘ.

კვირას, 29 გიორგობისთვეს, საღამოს 6 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია
ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ
ქართველთა საადგილ-მიტუმო ამხანაგობის

„შუამავლისა“.

კრება უსათუოდ შესდგება იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დაესწრობა მას წევრის პატრონი.
კრებამ უნდა აღირჩიოს: 1, თავმჯდომარე კანტროლისა წარსულის წლიური კრების დადგენილების თანხმად და 2, „ფირმის“ წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდგან.
გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი სხვა შინაური საქმეებიც.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.
(5—ნ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. ᲞᲠᲝᲢᲐᲡᲔᲕᲘᲩᲘ—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ს. Პ. კარაᲞეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ს. გ. ᲒᲣᲠᲯᲝ. 1¼—2¼ ს. შიაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
სალამოობით:
გ. მ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ს. ნ. ᲨᲕᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ—6½—7 საათ.
ტ. Ო. ᲠᲣᲓᲔᲜᲚᲝ—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(Წ)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა მისი უმაღლესობის ა. პ. ოლდენბურგის პრინცისაგან 19 ნოემბერს მიიღო სამარყანდიდგან გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა: „ანზობში 28 ოქტომბრიდგან შავის ჭირით ავად ადარავინ გამხდარა. 9 ნოემბერს მორჩა უკანასკნელი ავადმყოფი. ამ ჟამად ყველანი კარგად არიან. სხვა ადგილებში მშვიდობიანობაა“.

*** 1900 წელს ორმოც-და-ათი წელიწადი შესრულდება, რაც ტფილისში დაარსდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. ამ დღესასწაულის პროგრამმის შესადგენად დასახელებულმა საზოგადოებამ ამოარჩია საგანგებო კომისია, რომელმაც ამ დღეებში დაადგინა—ეთხოვოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს უგანათლებულესს თავად პ. ა. გრუზინსკის, იშუამდგომლოს საზოგადოების მფარველის და საპატიო პრეზიდენტის გენერალ-ადიუტანტ თავ. გ. ს. გოლიცინის წინაშე, რომ მან ნება დართოს დასახელებულ საზოგადოებას 1900 წელს კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა გამართოს.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის განკარგულებით, 20 ნოემბერს მისი ბრწყინვალების ადიუტანტი პოლკ. სვეჩინი, საგანგებო საქმეთა მოხელე უგანათ. თავ. გრუზინსკი და პოლიცმეისტერის თანაშემწე ბ-ნი კოვალევი შეუდგნენ სავაჭრო და სამრეწველო დუქნების დათვალიერებას.

*** ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოება შეუდგა სახალხო წარმოდგენების გამართვას. პირველი წარმოდგენა გამართულ იქმნა რკინის გზის თეატრში. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. შაბათს, 28 ნოემბერს, იმავე თეატრში დანიშნულია კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რკინის გზაზედ მოსამსახურეთაგან შემდგარი ხორო.

*** ქალაქის გამგეობის წევრთა არჩევნი გუშინ, 23 ნოემბერს, კვლავ გადასდეს 7 დეკემბრამდე. საბჭომ ეხლა რაღაცა „სარეკომენდაციო“ კომისია მოიგონა, რომ არჩევანის ორის კვირით გადადება მოეხერხებინა. ნეტა როდის მოეღება ბოლო საქმის ასე გახიახებას?..

*** 20 ნოემბერს ტფილისის ცხენის რკინის გზათა დირექტორმა რობიმ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ თანახმა ვარ მივიღო საბჭოს მიერ შემუშავებული ქალაქსა და საზოგადოების შორის დასადებ ხელშეკრულების პროექტი, გარდა მე-4 §-სა, სადაც ახალის შტოების გაყვანის ვადის შესახებაა ლაპარაკი.

*** ბრალდებულთ თავ. შიხი ტუსიშვილს, გიორგი ოსიტაშვილს, თავ. ვლად. ბარათაშვილს და ალექს. ტერშმოვანოვს, რომელთაც დავით გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, დაიცავენ სასამართლოში: პირველს—ნაფიცი ვექილი ს. ვ. ჩემეროვი, მეორეს—ნაფ. ვექილი პ. ა. ოპოჩინინი, მესამესა და მეოთხეს—ნაფიც ვექილის თანაშემწე მ. ო. გრუზენბერგი.

*** ამას წინად ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, რომ ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი გაფართოებულ იქმნას. ეხლა ეს საგანი გაზ. „კავკ.“-ის სიტყვით, გარდაეცა განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შემდგარ იქმნა

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲤᲘᲫᲠᲘ, ᲤᲘᲫᲠᲘ!..

ეტიუდი

სანდრო სარკმელს მისდგომოდა და გაჰყურებდა ქალაქის მოკირწყლულს ქუჩას, სადაც სახლებიდგანა და დუქნებიდგან ლამპრის სინათლე გამოსჭვირდა. სანდრო გაჰყურებდაკი ამ ქუჩას, ამ სახლებს, ამ აბრჭყვრიალებულს დუქნებს, ამ ხალხით არეულს ქუჩის კიდეებს, ესრედ წოდებულს ქვაფენილს, მაგრამ კარგა რომ დაჰკვირვებოდით, მისი თვალები ერთსა და იმავე დროს ამათ ყველას ჰხედავდა და არც ჰხედავდა, ერთს დროს ყველაფერსაც უყურებდა და არაფერსაც. მისი თვალები სადღაც ჩაღრმავებულიყო და ეტყობოდათ მხოლოდ იქ უყურებდნენ ნათლად, მხოლოდ იქ არჩევდნენ ცხადად სიგნებს, აქაური გამომხედველობა-კი მონაჩვენი იყო. როდესაც ასეთს თვალებს დაინახავს კაცი, ადვილად მიხვდება, რომ იგი ან ნახსოვრობის კიდობნის ამოლაგებაშია ჩაღრმავებული, ან გონების დავა-პაექრობაში გართულა და ან ორივეს ერთად მოსჩიდებია. სანდროც ამ მდგომარეობაში იყო.

იგი მარტო იყო ოთახში. იმის გარდა, ერთი სულიერი არავინ ჭაჭანებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, უსულო საგნებით-კი სავსე იყო ეს სადგომი, იმ გვარის საგნებით, რომ მაშინვე იფიქრებდით—აქ ვიღაც გემოგახსნილი კაცი უნდა იდგესო. ამას გაფიქრებინებდათ დიდი, ფართო სამწერლო მაგიდა, სამწერლო ჭურჭელ-იარაღით დამშვენებული, სხვადა-სხვა ხელ-ნაწერ და ნაბეჭდ ქაღალდებით აფერადებული; წიგნთ-საწყობი, მაღალი, შავი ხის თაროები, რომელზედაც „მიჯრით მიწყობილი“ იყო სხვა-და-სხვა ზომის, სხვადა-სხვა სახის ყდიანი და უყდო იდუმალ მოსაუბრენი; იქვე იყო სხვა, ლამაზად მოჭრილ-მოჩუქურთმებულს თაროზედ ჩამწკრივებულნი სხვა-და-სხვა მოღვაწეების ქანდაკებანი, რომელთა შორის ამ ღამის ბნელში ჩვენ ქართველების სასიქადულო შვილთა სახესაც გაარჩევდით; ზემო კედელზედ ჩამორიგებული იყო სხვა-და-სხვა დიდებულ მხატვართა ნაწარმოებნი, მათ ქვეშ კიდევ სხვა-და-სხვა ნახელოვნევი კაცის ჭკუა-გონებისა, რითიმე შესანიშნავი, უფრო კი აზიური და ჩვენებურ გემოვნებისა, როგორც, მაგალითად, ძველი საშარბაო. თვლებით შემკული, ძველებურივე ლანგრები, ჯამები, პაწია მოვერცხლილი, მოჩუქურთმებული სურები, ყანწები, შემდეგ ქვევით დიდს სპარსულ ხალზედ ნიბარდნილი ძველი ჯაჭვ-ჯავშანი, მუზარად-შუბნი, ლახვარ-ისარნი, ხანჯალ-თოფ-ლეკურნი და სხვა ამისთანა წვრილმანნი, ეხლა მხოლოდ სახლის შემამკობელნი; ყველაზედ უფრო ამოწმებდა თქვენს აზრს, პირველ-შედგენილს, სამწერლო მაგიდის ცოტა მიღმა გაშლილი, ტილო გადაკრული მოლბერტი, იქვე პაწია ტაბაკზედ საღებავი ფერადის წამლებითა და ტილოზედაც მოხაზული უკვე თვალსაჩინო ეტიუდი... ყველა ეს, ვიმეორებ, დაგარწმუნებდათ, რომ ამ სადგომში ხელოვნე?ის მოყვარე კაცი სცხოვრებდა. დიაღ, სანდრო ერთი ამათგანი გახლდათ და მეტათ უყვარდა ხელოვნება, მეტათ უყვარდა კარგი, მოთბუნებული და ლამაზი ცხოვრება. სცდილობდა კიდეც ისე მოეწყო თვისი გარემო, თვისი არსებობა და, როგორც ვიცით, ცოტად ამ სურვილისათვის მიეღწია კიდეც, მაგრამ... ოჰ, ეს „მაგრამ“! ამ „უმაგრამოდ“ რომ იცხოვრებოდეს!.. ბედნიერები ვიქმნებოდით და ქვეყნათ სამოთხე გვექმნებოდაო, მიხრა ერთხელ ერთმა ჩემმა კარგმა მეგობარმა. არ ვიცი რამდენად მართალი იყო იგი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ამ „მაგრამმა“ სანდროს სიცოცხლე მეტათ გაუმწარა, იმ ზომამდე, რომ ეხლა სარკმელთან მიმდგარი უკანასკნელ საკითხავს აძლევს თავისს თავს ჰამლეტურად: „ყოფნა, თუ არ ყოფნაო“...

სანდრო ყმაწვილობიდგანვე ხელოვნებამ მიიზიდა, ე. ი. ყოველმა შვენიერმა, ყოველმა კეთილმა, ანუ, უკეთ, იგი თავიდგანვე ბუნებამ მოჰხიბლა და შემდეგ ხელოვნებამ, ამ ბუნების მართალმა და უტყუელმა გამომთქმელმა გაიტაცა. ისიც გაჰყვა და თავ-შეუკავებლად დაეწაფა, საათაც-კი ხელი მიუწვდებოდა, ამ ხელოვნების ნაწილებს, ხელოვნების დარგს. ხელოვანი სიტყვიერება, ხელოვანი მხატვრობა და სხვა ათას გვარი ამათგან გამომავალი შტო მისი საწადელი საგნები გახდა, მისის გულის სადები შეიქმნა... შეისწავლა იგი, ირგვლივ შემოუარა. ამ შესწავლამ, ამ ირგვლივ შემოვლამ ბუნების უტყუელ გამომთქმელობის გარემო, მეცნიერებისაკენაც შეატოპვინა, რომელიც იგივ ხელოვნება გამოდგა, იგივ წმინდა, ხალასი პოეზია, მისი საყვარელი, „უმც პირველ შეხედვაზედ-კი უფრო მიუდგომელი, უფრო მიუკარებელი, ვიდრე მისი პირველი გაცნობილები, რადგან ესენი, ეს პირველი ნაცნობები, გათლილისა და გაუთლელის გულს ერთგვარ ხვდებოდნენ, ყველას გასაგებად გულს განეწონებოდნენ და იქკი, მეორესთან, ამ პირველის ცნობაც იყო საჭირო და უფრო გონების შეთამაშებაც, მოთმენა-დაკვირვებით შეზავებული, რომ კარგათ ხელი მოგეჭიდა და კარგათ ჩახვდომოდი კაცის ჭკუის გამოკვლეულს...

განცვიფრდა სანდრო ბუნების სიდიადით. რა უშველებელი იყო ერთის მხრივ ბუნება მთელის მისის უცნაურის, თვალ-შეუწვდენელის ტანით და რა პატარა იყო, რაწვრილმანი კაცის გამოკვლეული, კაცის ნათქვამი, მისი მეცნიერება, მისი ხელოვნება, მეორე მხრივ, თუმც რაც იყო, მეტად კოხტა, მეტად შვენიერი-კი. დარწმუნდა სანდრო, რომ ოქროს ანდაზა მართ ლი იყო, სიპატარავე სიშვენიერეს და სიდიადესაც არა ჰკარგავდა. მართალია, რამდენიც უფრო სიღრმეში მიდიოდა სანდრო ამ ტოდნასაკენ, იმდენი და იმდენი უფრო რწმუნდებოდა, რომ კაცობრიობამ სულ ცოტა რამ იცოდა,

კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლის კნ. მ. თ. ვოლიცინის განკარგულებით.

⁂ კვირას, 22 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდათ ტფილისის პირველ და მეორე გილდიის ვაჭრებს. კრებამ მოისმინა ფინანსთა მინისტრის მიერ 21 აგვისტოს დამტკიცებული წესდება ტფილისის მომავალის საკომერციო სასწავლებლისა. ამ კრებასვე უნდა აერჩია სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე და ხუთი წევრი, მაგრამ ეს არჩევანები არ მოხდა: კრებამ საჭიროდ სცნო ეს არჩევანები ჯერ-ჯერობით გადადებულ იქმნას. შემდეგ კრებამ საკმაოდ არა სცნო 165 ათასი მანეთი, რომელიც სასწავლებლის დასაარსებლად არის გადადებული. კრებამ დაადგინა ეს თანხა გადიდებულ იქმნას შემოწირულებით. შემოწირულების მოკრება კრებამ მიანდო ვაჭრობისა და მანუფაქტურის აღგილობრივ კომიტეტს; მასვე მიანდო შეიტყოს რა შემწეობას აღმოუჩენენ მომავალ სასწავლებელს ამიერ-კავკასიის საკრედიტო დაწესებულებანი და სხვა ქალაქების ვაჭარნი. დასასრულ კრებამ აარჩია: ობოლთა სასამართლოს წევრებად—რ. ა. მარტირუზოვი და გ. გ. სარაჯევი; მათ კანდიდატებად ტ. ს. სტეფანოვი და ი. ლ. ტერ-ოსეფიანცი. ადგილობრივ სახაზინო პალატის საზოგადო საკრებულოს წევრებად: ი. ი. ცოვიანოვი, ა. ი. მანთაშევი, ა. თ. ფრიდონოვი, ი. ა. შადინოვი, მათ მოადგილედ—პ. ი. ალიბეგოვი და მ. ი. დოლუხანოვი. ქალაქის ხარჯის გამწერელ ორის საკრებულოს წევრებად: ნ. პ. ფრიდონოვი, ა. გ. ავეტისიანცი, ა. ნ. მილოვი, ე. მ. აკოფოვი, კ. გ. კარიბოვი და ს. გ. კაფიევი; მათ მოადგილეებად: ა. ა. ეფენჯიანცი, ს. ს. გულიევი, ი. ი. გურგენოვი და ა. ა. არზუმიანცი.

⁂ „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ მომავალ 1899 წელს ხაზინიდგან მიეცემა 36,000 მანეთი. ამას გარდა საზოგადოება მიიღებს ყარაიაზის მამულის შემოსავალს.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, „ქართულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“ ამ ახლო მომავალში შეუდგება ვ. ნ. სუნდუკიანცის დრამატიულ თხზულებათა გამოცემას ქართულს ენაზედ.

⁂ თელავიდგან სწერენ „ტფ. ფურ.“, რომ რადგანაც წელს კახეთში კარგი ღვინის მოსავალი იყო, ღვინის ფასმა შესამჩნევად დაიწიაო. ამ ჟამად ერთი ჩაფი ღვინო ფასობს 1 მან. 20 კაპეიკიდგან 2 მანეთამდე. პირ-იქით, სულადის ფასი აწეულა: ერთი ფუთი პურის ფქვილი ფასობს თურმე 1 მ. 60 კაპ; სიმინდი 70 კაპ; კარტოფილი 60 კაპ. და სხვა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგეს თანამდებობის აღმასრულებელს ბიბიკოვს ქუთაისის გლეხის საქმეთა საკრებულოს წევრ-საქმის მწარმოებლად ჰნიშნავენო.

⁂ გაზ. „კავკ.“-ს დეპეშით პეტერბურგიდგან შემდეგს ამბავს ატყობინებენ:

„Петер. Вѣдомос.“-ში „როგორ უნდა მოისპოს ავაზაკობა კავკასიაში“ სათაურით დაბეჭდილია წერილი, რომლის ავტორიც შემდეგს ზომებს ასახელებს ავაზაკობის მოსასპობად: მთაში მცხოვრებთ უნდა დაეთმოთ საცხოვრებლად საკმაო მიწა, მათ კეთილ დღეობის გასაუმჯობესებლად შემცირებულ უნდა იქმნას გარდასახადები იმ დრომდე, ვიდრე მათი ქონებრივი მდგომარეობა მკვიდრს ნიადაგზედ იქმნება დაყენებული სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და სწავლა განათლების განვითარებითა და გავრცელებით; გაუქმებულ უნდა იქმნას აწ არსებული სისტემა საადმინისტრაციო ჯარიმისა; მთაში მცხოვრებთ ყველგან სხვაგან გარდასახლების ნება უნდა მიეცეთ; მთიელთა სწავლა-განათლების საქმე უკეთესად იქმნას მოწყობილი, დაარსებულ უნდა იქმნას საპროფესიონალო და სხვა სასწავლებლები; ხელი უნდა შეეწყოს შინა და სხვა მრეწველობას; ძირითად უნდა შეიცვალოს აწ არსებული წესი გამგეობისა და მოსამართლეობისა.

ინჟენერს ფონ-გარტმანს ნება დაერთო შეუდგეს კვლევა-ძიებას შავის ზღვის ნაპირას რკინის გზის გასაყვანად. ეს გზა დაიწყობა ეკატერინოდარიდგან, გაივლის ტუაფსესა, სოჭსა და სოხუმზედ, შემდეგ ფოთამდი იქმნება მიყვანილი. ამ გზის სიგრძე 360 ვერსი იქმნება“.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 14 ნოემბერს მოსკოვში გამართულ იქმნა ქართული საღამო. როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, ამ საღამოს საზოგადოება ბლომად დასწრებია. მონაწილეობა, სხვათა-შორის, მიუღიათ დებს პროკოპოვიჩებს, ბ-ნთ დონსკის და პინიალოზს, რომელთაც რომანსები შეუსრულებიათ, პიანინოს დამკვრელს გოლდენვეიზერს, მომღერალ ქალებს არცებაშევას და მელგუნოვას; საზოგადოებას ყველანი ხანგრძლივის ტაშის ცემით დაუჯილდოვებია. კარგად შეუსრულებია ხოროს ტრუფფის გამგეობით სხვა და სხვა სიმღერები. ქ-ნ არლანისა და თავ. მ.—ს, საზოგადოების თხოვნით, რამდენჯერმე უთამაშნიათ ლეკური. „ბლაგოროდნოე სობრანიეს“ დარბაზი, სადაც საღამო იყო გამართული, სამაგალითოდ ყოფილა მორთული. ეკატერინეს დარბაზში, ხალიჩებით მორთული ფარდული ყოფილა გამართული, სადაც ხილსა და სასმელებსა ჰყიდნენ. ხილსა და ყვავილებს მანდილოსანნი ჰყიდნენ თურმე, მათ შორის საიმპერატორო თეატრის არტისტი-ქალნი როსლავლევა, გელცერი, პოლიაკოვი და სხვანი.

⁂ ოჩამჩირიდგან დეპეშით გვატყობინებენ: „21 ნოემბერს, ღამე ოჩამჩირის მახლობლად ერთმანერთს დაეტაკნენ ორი გემი: საქონლისა „ეკატერინა II-“ და სახალხო „პეტრე“. მეორე გემზე 300 კაცზე მეტი მგზავრი იყო. გემი „ეკატერინა II“ ათს წუთში დაიღუპა. გემი „პეტრე“ ძლიერ არის დაშავებული. მოკლულია 2 მოსამსახურე გემისა და 5 დაშავებულია; დაირჩენენ: 4 მოსამსახურე გემისა, ერთი დედაკაცი და ერთი ყმაწვილი ქალი. ჯერ არ იციან, კიდევ დამრჩვალა ვინმე, თუ არა. გემი „პეტრე“ ბათუმისაკენ წავიდა“.

⁂ ასაჯ სენაკი. მდინარე ცივის ხიდის ფიცრების ზემო პირი დიდი ხანია დამპალი და გაფუჭებულია. ამ ხიდზედ ყოველ დღე 4—5 ომნიბუსი და სხვა-და-სხვა ეტლი გადი-გამოდის, რომელნიც ახალ-სენაკ'ა და ზუგდიდს შუა დადიან. დიდს გაჭირვებაში არიან მეეტლეებიც და მგზავრებიც, რადგან ჯერ ცხენები უნდა გამოხსნან ეტლიდგან და გაიყვანონ ამ ხიდზედ და შემდეგ ეტლი გაათრიონ ხელით. გვიკვირს, რატომ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ ხიდს ვისგანაც ჯერ არს და მგზავრთ გაჭირვებისაგან არ იხსნიან.

⁂ სოფ. თუკლათი, (სენაკის მაზ.). ამ სოფლიდგან ფოთამდე მიდის ერთად ერთი დიდი ხნის გაკეთებული შარა-გზა, რომელიც ჭალადიდზედ გაივლის. ამ გზაზედ მუდამ დიდი მოძრაობაა ხალხისა. მაგრამ ამ ჟამად იგი ისე გაფუჭებულია, რომ მასზედ სიარული შეუძლებელია, მეტადრე მაშინ, როცა ოდნავ წამოწვიმდება. რაღა თქმა უნდა, დიდის წვიმების დროს ფეხსაც ვერ გადასდგამთ ამ გზაზედ, მანამ არ გაშრება. მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ გზის რიგიანად შეკეთება და მოკენჭვა, მაგრამ ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია ეს.

⁂ პოლიტმეისტერმა უბრძანა გუშინ პოლიციის ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნეთ, რომ ღამე პრაკენ დამტკრიან ქუჩებში ქალაქის შიერ დარგული ხეებიო, სოდო ვისაც შეამჩნევთ, რომ ხეებს ამტკრევს, ამას ოქმი შეუდგინეთ და სასამართლოს გადაეცითო.

⁂ ჯევანშირის მაზრის უფროსად ნამყოფ რაფიბეგოვის საქმე, რომელიც 26 ნოემბრისთვის იყო გასარჩევად დანიშნული ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიაში ქ. განჯაში, გადაიდო რამდენიმე ხნით, რადგანაც რაფიბეგოვს ხარკოვიდგან პალატაში გამოუგზავნია ავადმყოფობის მოწმობა. ამ საქმის თაობაზე დაბარებული იყო 86 მოწმე.

⁂ გუშინ პოლიციამ დაიჭირა და პოლიცმეისტერმა საპატიმროში გაჰგზავნა 30 მათხოვარი, რომელნიც სპარსეთისა და ოსმალეთის ქვეშევრდომნი და აგრეთვე ერევნის გუბერნიის მცხოვრებლები ყოფილან. მათხოვრობის გარდა სხვა საქმეს არა ჰკიდებდნენ თურმე ხელს. ეს მათხოვარნი ამ დღეებში ეტაპით გაიგზავნებიან თავიანთს სამშობლოში.

⁂ ამ უკანასკნელს სამს დღეში ტფილისში ყვავილით 20 კაცი გამხდარა ავად და ერთიც საოფლით.

⁂ გასულ ოქტომბერში ქალაქის სამკურნალოს და იმის განყოფილებებში ყვავილი აუცრიათ 425 ბავშვთათვის.

⁂ გუშინ ქალაქის გამგეობამ იყიდა საგანგებო დახურული ეტლი გადამდებ სენით ავადმყოფების სადგომებიდგან ქსენონებში გადასაყვანად.

⁂ 22 ნოემბრიდგან შეუდგენენ მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებიდგან ქალაქის მიერ დაარსებულ თავშესაფარში ავადმყოფების გადაყვანას. პირველ დღეს გადაიყვანეს მხოლოდ ოთხი ავადმყოფი.

⁂ 20 ნოემბერს, ღამის 11 საათზედ, ტფილისში, მალაკანთა ქუჩაზედ, ჰნახეს სამს ალაგას დაჭრილი აქციზის მოხელე ვასილ ბახჩენიკოვი. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ მეორე დღესვე გარდაიცვალა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ დღეს ბახჩენიკოვი სერობიანცის დუქანში ერთს თავის ნაცნობთან, გრ. ტერ-სააკოვთან ქეიფობდა. ტერ-სააკოვმა განაცხადა, რომ დუქნიდგან გამოსვლისათანავე დავშორდი ბახჩენიკოვსა და არ ვიცი შემდეგ სად წავიდა ან რა მოუვიდაო. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ამას წინად ვწერდით, პოლიციამ აღმოაჩინა, რომ იარმუკაში, თავ. მუხრან-

---

მაშასადამე თავისი თავი რაღაც მწერალი ეჩვენა უწინ, მაგრამ ნუგეშად ესა ჰქონდა, რომ რაც იცის კაცმა, ის ჭეშმარიტია, ის სიმართლეა და ეს სიმართლე კი მეტად მიმზიდველი, მეტად მომხიბლავიაო.. რისთვის?— უთუოდ მისთვის, რომ ეგ ბუნებისავე გამოთქმაა, თვით მისივე შემუშავებაა...

სანდრო რომ წამოიჩიტა, ეხლა თითონ შეუდგა ამ საყვარელ საგნის სამსახურს და აი, სამწერლო მაგიდაზედ უდევს მისი საკუთარი უკვე მეოცე თუ მეოცდაათე ნაყოფი პოეზიისა, ჯერ კიდევ გაუთავებელი, მელან-შეუმშრალი; იქ მოლბერტზედაც მოხატულია ისტორიული სურათი, ჩვენის ოქროს ხანიდგან ამოღებული, ისიც გაუთავებელი, წამლებ-შეუმწრდალი, რომელზედაც უნდა გამოიყვანოს დედა-აზრი ჩვენის სახელოვანის პოეტისა ნათელ სურათებად: „თამარის დროშა გაშალეს“... ეს ყველა აქვს. ეს ახლებია, ძველებიც მრავლათ მოეპოვება, მაგრამ განა მარტო თავისთვის უნდა იყო კაცი?.. ეს მისი ნაწარმოებიკი ყველა სათავისთავოა. სხვას ხელი არ მიუწვდება, ე. ი. ხელი-კი მიუწვდება, მაგრამ იგი მისთვის უცხო იქმნება, გაუგებარი, იმისს გულს ვერ შეანძრევს, ვერ აატოკებს. აქ უცხო საშეფოა მისთვის. ამ თხზულებებში „ავტორი მხოლოდ თავს იქცევს, თავის და სასიამოვნოდ ჰქმნის თავისს გმირებს, შეიძლება მეტად ხელოვნურად, მეტად ლამაზადაც, მაგრამ მაინც სხვის და მიუდგომელათ, სხვისის გულის განუწონებლად. შეიძლება მის თვალს მხოლოდ სურათის მოხაზულობამ აამოს, მაგრამ შინაარსი-კი ვერ დაიპყრობს, ვერ „აუღელვებს გულსა და ტვინსა“. ეგ ხმა სხვაა, მხოლოდ შემქმნელს თუ მოჰხიბლავს, სხვის გულს არ ეკარება. სანდრომ იცნო ეს. ეს თვისი „თავისობა“, თუ შეიძლება ესე ვთქვათ, და მოინდომა, რომ მის ნაწარმოებში სასხვისოც ყოფილიყო. მოინდომა, რომ მისი ხმა სხვასაც კარგად გაეგონა და ამ მაში-კი ნამდვილის შეუბრალებელის სიმართლით ემხილა ჩვენი შეცოდება, ჩვენი ზოგჯერ სიმდაბლეც, სულით გლახაკობა. აქამდის-კი რა იყო მისი პოეზია, მისი მხატვრობა?.. იგი უმღერდა ბუნებას, ვარდს, ყვავილებს, მომხიბლველს წყლის დედოფალს, ტყეთა მეფეს, მთათა სულს. რასა ჰხატავდა? ადამის ტანთ-საცმელში შშვენიერს ნიმფას მოეწყვიტა ტურფა ზამბახი და ხარბად ჰყნოსავდა ბუნების უმანკოებაში, ან არა და სალს, აყუდებულ დიად კლდეთა შორის გამოხეთქილიყო ანკარა წყარო და ყმაწვილურის შხეფებითა და ქაფებით იჩეხებოდა შორს, ჩაშავებულს ქვესკნელში. სურათი მართლა შვენიერი იყო. წყაროს პაწია წვეთები სწორედ ხელოვნურად იყო გამოსახული, თითქოს ნამდვილად ეცემოდა წვეტიან კლდის ქვებს და თვით წყარო საგრილებლად გიწვევდათ: დახე, როგორ ყინულივით გრილი ვარ, მოდი და დამეწაფეო! დიაღ, კარგი იყო სურათები, კარგი იყო ის ლექსებიც, პოეზიის მარგალიტები აქა-იქ უთუოდ იყო შიგ ჩაბნეული, მაგრამ...

შიგ საზოგადო არა იყო-რა. იქ ვერა ჭნახავდით საზოგადო ჭირის მალამოს, ან თვით ამ ჭირს, მხატვრისაგან დასახულსა. ეს იყო გამრთობი, ხშირად შეიძლება დამთრობიც, მაგრამ მაინც საორკაცო, შენი, ჩემი, საოჯახო პოეზია. საზოგადო არა-რა ჩნდა და აი, ამან ჩააფიქრა სანდრო, დაანაღველ-ძმარა... ნუ თუ მისთვის ვისწავლე, მისთვის შევიძინე ის ცოდნა, რომელმაც ბოლოს „სრულიად არაფერი არ ვიცი“-ო მათქმევინა, რომ სხვებისთვის არ გამეზიარებინა ეს ჩემი ცოდნიანი არ-ცოდნა?! მერე თუნდა ამ გზიარებითაც კვლავ ჩემი ამაყობა არ გამოვიდოდა, ჩემივე თვით-მოყვარეობა? არა! სულ სხვა მაქვს ვალად. ყოველი ჩემი სიტყვა, ჩემის გონების ყოველი ნაწარმოები, ნაწერი თუ ნახატი უნდა ეკუთვნოდეს სხვასაც, როგორც მე; უნდა ემსახურებოდეს სხვასაც ხან მამხილებლად და ხან მაამებლადაც, მისც სარკე უნდა იყოს, როგორც ჩემი; უნდა უჩვენოს თვისი ნაკლი, უნდა დაანახვოს ღირსებაც; უნდა თვალ-წინ წამოუყენოს თვისი ჭირი, უნდა გამოუსახოს თვისი დალხინებაც. ერთის სიტყვით, იყოს მისი ჩრდილი, მისი სურათი, მისი გამოსახულობა, უტყუარი, უზაკველი. აი, ამისი თქმა, ამისი პირში შეძახილია საქმე, მომჭრან მარჯვენა, არად მიჩნს, წამართონ ენა, დღეიდგან ამ გზას ვადგევარ! ამ სიმართლეს ჰმსახურებს ჩემი სიტყვა, ჩემი კალამი, მთლად მე. ამიერიდგან, მეც

„ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს ჰმსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწრფელით ახურვებდეს“...

ან ამის უმსახუროდ სიცოცხლე გაგონილა?... ქვეყანაში შენდა წვლილის შეუტანელად ცხოვრება ვის უწამებია! მარტო თავისი თავი ადამიანს როგორ უნდა ახსოვდეს?!.. სხვები, სხვებიც და მაშინ შენც უფრო გაახსენდებით, თვით. შენც უფრო გეხსომება შენი თავი. სხვა რაღა საგანი დაგრჩა ამ ქვეყნად საცხოვრებელი? თუ სხვის დახმარებასაც არ მოინდომებ შეძლებისა და გვარად, მაშ რაღა დაგრჩა წმიდა ამ ქვეყნად? მაშ შენი რწმენა რაღა არის, თუ არ „მოყვასის სიყვარული?“ მაშ რას გვიბრძანებს მაცხოვარი?.. დიაღ,

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს-კი ვერა რა არგოს!“

ესფიქრი იყო მიზეზი, რომ სანდროს შემოქმედობა სხვა გზას დაადგა. მისმა ნაწარმოებმა ფერი იცვალა, იგი სასხვისოც გახდა, სხვის ხელ-მისაწვდომიც, სხვის ტკივილისაც მაუწყებელი. ყვავილ ვარდთ კვლავ სთხზავდა, მაშვ ბულბულთ გალობა კვლავ უხვად ისმოდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სძრავდა კაცის გულს და ბუნების მწყობრობასთან შედარებით უფრო ნათლად აჩნდა ადამიანთ დაუწყობელობას“ მაგრამ...

(დასასრული იქნება)

ბატონის მამული არა სანიტარულ მდგომარეობაშიაო. ეხლა ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით შესდგა ტფილისის პოლიცმეისტერის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ზომები ამ მამულის გასასუფთავებლად და გასაწმენდათ. კომისიის წევრებად არიან: საგუბერნიო არქიტექტორი, გამგეობის ტეხნიკოსი, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი, გამგეობის ერთი წევრი და საბჭოს ერთი მკურნალი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ

16 ნოემბერი

კრება დაიწყო საღამოს 7 საათზედ. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა. ხმოსნები ბლომად იყვნენ. კრებამ ფეხზედ დგომით მოისმინა საპასუხო დეპეშა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა ქალაქის საბჭოს მიერ გაგზავნილ მისალოცავისა. შემდეგ მდივნის მაგიერმა წაიკითხა ოქმი წინანდელის კრებისა, რომელიც მცირეს ცვლილებით დამტკიცებულ იქმნა. პირველად ლაპარაკი აღიძრა სასანიტარო მზრუნველების დანიშვნის შესახებ. სჩანს, შავის ჭირის მოახლოვებამ ქუთაისიც გამოაფხიზლა. გუბერნატორის მოწერილობის ძალით ქალაქი დაყოფილია 14 სასანიტარო უბნად. თითოეულის უბნის ყურის-მგდებლად იქნება ცალკე კომისია, რომელიც უნდა შესდგეს ქალაქის წარმომადგენელისა, პოლიციელისა და ექიმისაგან. ბევრმა ხმოსანთაგანმა უარი განაცხადა, რომ ვერ მივიღებ კომისიაში მონაწილეობასაო. ზოგს კი წინადვე ჰქონდა ნაკისრი. ხმოსნები ერთმანეთს სთხოვდნენ, მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ ყველა უარს აცხადებდა. ქალაქის მოურავმა რამდენჯერმე სთხოვა საბჭოს, დაასახელოს მან ვინმე სასანიტარო კომისიის წევრად, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ბოლოს ორი-სამი გარეშე კაცი დაასახელეს, რომელთაც იკისრეს ეს თანამდებობა; ხოლო სასანიტარო აღმასრულებელ კომისიაში იქმნებიან წევრებად თვით ქალაქის მოურავი, პოლიცმეისტერი და ხმ. გ. გ. გამრეკელი. ქალაქის მოურავმა გამოუცხადა საბჭოს, რომ ქალაქს არა აქვს აქამდის სავაჭრო მეიდანზედ საზოგადო ფეხის ადგილი; ამას გარდა ამ მეიდნის გარეშემო აღმოჩენილა 238 დუქანი, რომელთაც ფეხის ადგილი არა აქვთ; ამის გამო საძაგელი სიბინძურეა მეიდნის გარშემო; საჭიროა ქალაქმა რაიმე იზრუნოს და მცხოვრებლები ააცდინოს ამ სიბინძურესო. საბჭომ გარდასწყვიტა, დაევალოს ყველა ამ დუქნის პატრონებს, ან საკუთარი ფეხის ადგილი იქონიონ, ან მიიღონ მონაწილეობა საზოგადო ფეხის ადგილის გაკეთების ხარჯსა და შენახვაშიო.

შემდეგ წაიკითხეს ვიღაც ჩითავას თხოვნა, რომელიც კისრულობს ქალაქის ქუჩებისა და მეიდნებიდგან ნაგვის გაზიდვას და ამისთვის თხოულობს ქალაქისაგან 745 მან. იგივე ჩითავა კისრულობს მცხოვრებლების ეზოების დაწმენდასაც იმ ფასად, როგორც მოურიგდება თითოეულს მათგანს. ქალაქის საბჭომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა და გამგეობას დაავალა, თითონ იქონიოს ნაგვის გადამზიდავი ეტლები და დაიჭიროს ამისთვის საკმაო მუშები; შეადგინოს ყველა ამის ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს საბჭოს მომავალს კრებაზედ.

შემდეგ წაიკითხეს თხოვნა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის საპედაგოგიო რჩევისა, რომელიც სთხოვს ქალაქის საბჭოს, დაუთმოს მას საკუთარის შენობისა აშენებლად ცალიერი მიწა, რომელიც იმყოფება საკათედრო ტაძრის მახლობლად: საბჭომ ამ ადგილის დათმობა შეუძლებლად სცნო, რადგან იგი თვითონ ქალაქს სჭირდება პირველ-დაწყებითის საკუთარის სასწავლებლისათვის, ხოლო სხვა ისეთი თავისუფალი ადგილი არა აქვს ქალაქს, რომ სასკოლედ გამოადგეს. კენჭი მაინც უყარეს და 31 ხმოსანმა უარი სთქვა მიცემისა, ხოლო თერთმეტი თანახმა იყო.

დაიწყეს კითხვა ბ-ნ ინჟენერის მიხაილოვის წინადადებისა; მიხაილოვი ჰკისრულობს გაუკეთოს ქალაქ ქუთაისს ელექტრონის რკინის გზა. კითხვამ გასტანა თითქმის მთელს საათს. ყველა მუხლი პირობისა საბჭოს უმრავლესობას მოსწონდა, ამიტომ პირობის შესახებ ბევრი არ ულაპარაკნიათ.

ქალაქის მოურავი. როგორი რკინის გზაა სასურველი, ელექტრონისა თუ ცხენისა?

უმრავლესობა. ელექტრონისა.

ხმ. დ. ა. ნაზარეთელი. არა, კითხვას ასე ნუ დავაყენებთ, უმჯობესია კითხვა ასე დავაყენოთ: რკინის გზა თვითონ ქალაქმა გააკეთოს, თუ სხვას მიეცეს? მე ვფიქრობ, უმჯობესია და სასარგებლო, ქალაქმა თვითონ იკისროს რკინის გზის გაკეთება.

ხმ. მ. ე. დარახველიძე. მე არ ვეთანხმები ხმოსან ნაზაროვს: ქალაქს არა აქვს არც შეძლება და არც ის გამჭრიახობა, რომ ასეთი რთული და ძნელი საქმე იკისროს.

ქალაქის მოურავი. ხელ-მეორედ გკითხავთ: ელექტრონის გზა თუ ცხენისა?

ხმ. ნაზაროვი. თუ სხვა დიდრონი ქალაქები კმაყოფილნი არიან ცხენის რკინის გზით, ჩვენ რა ვართ ვითომ? ქალაქს აქამდის არავითარი არსებითი და თვალ-საჩინო საქმე არ გაუკეთებია, ეს საქმე მაინც ვიკისროთ და გავა ეთოთ.

ქალაქის მოურავი. საბჭომ 1894 წელს გარდასწყვიტა, რომ თვითონ არ იკისროს რკინის გზის გაკეთება.

ხმ. ბ. ა. თუმანიშვილი. მე გთხოვთ კენჭი ეყაროს ამ საკითხს.

ხმ. მ. გ. ფალავა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქალაქს არავითარი საშუალება არა აქვს ამისთვის. იგი საავადმყოფოს დასაარსებლად და მილებით წყლის გამოყვანისათვის მთავრობისაგან სესხულობს ფულს, ახლა კიდევ ამ ხარჯისთვისაც ისევ მთავრობას უნდა მივმართოთ და განა ამ უკანასკნელ თხოვნას მთავრობა შეიწყნარებს? სრულიადაც არა. ტყუილი ლაპარაკია, რომ ქალაქმა იკისროს გზის გაკეთება; ეს იმას ჰნიშნავს, რომ საქმე დავიწყებას მივცეთ.

ხმ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. თუ ცხენის რკინის გზას გავიყვანთ, ქალაქმა უნდა იკისროს გაკეთება, თუ ელექტრონისას,—სხვას მივცეთ.

ხმ. ს. ბ. თოფურია. თუ ქალაქს მივანდვეთ გზის გაკეთება, დიდ ხანს მოგვიხდება ლოდინი; გარდა იმისა, ელექტრონის გზას ჰიგიენის მხრივ დიდი უპირატესობა აქვს ცხენის რკინის გზის წინაშე, მეორე ღირსებაცა აქვს: ელექტრონის რკინის გზა ადვილად აკავშირებს ქალაქის გულს მისს მთიან განაპირეებთან, რაიცა ასე ადვილად არ შეუძლიან ცხენის რკინის გზას. მე ელექტრონის რკინის გზის მომხრე ვარ.

კენჭი უყარეს ამ საგანს: ელექტრონის რკინის გზა თუ ცხენისა. ელექტრონის გზის მსურველი აღმოჩნდა 40, ცხენის რკინის გზის—7. შემდეგ უყარეს კენჭი მეორე საკითხს: თვითონ ქალაქმა იკისროს, თუ კონცესიონერს მიეცეს.

პირველი აზრის მომხრე აღმოჩნდა 45, ხოლო მეორისა—2. შემდეგ კიდევ დაიდგა ყუთი და უყარეს კენჭი: მიეცეს ბ-ნ მიხაილოვს რკინის გზის გაკეთების უფლება, თუ არა? 37 ხმოსანმა მიცემის სურვილი გამოაცხადა, ხოლო 3 წინააღმდეგი შეიქმნა.

ახლა სიხარულით ველით ქუთათურნი ელექტრონის რკინის გზას, თუ იმედი არ გაგვიცრუვდა. პირობის ძალით ქალაქს შეუძლიან გამოისყიდოს რკინის გზა 15 წლის შემდეგ; ხოლო 45 წლის შემდეგ გზა თავისის მოწყობილებით ქალაქის სრული საკუთრება იქმნება.

ზიარელი

რუსეთი

—

— გაზ. „Гражд.“-ის სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში მოხსენება შეაქვს იმის შესახებ, რომ ამიერიდგან გაუქმებულ იქმნას სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულის მსესხებელთა იმ მამულების გაზეთებში გამოცხადება, რომელნიც გასასყიდად არიან დანიშნულნი. სამინისტროს ახალის პროექტით, ბანკის გამგეობამ მსესხებელთ, გაზეთებში გამოცხადების ნაცვლად, სამჯერ ბათათები უნდა გაუგზავნოს და აცნობოს, რომ იმათი მამულები გასასყიდათ არის დანიშნული.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს გააფართოვოს რეალურ სასწავლებლებში ქიმიის სწავლება, ხოლო სამხრეთ რუსეთის რეალურ სასწავლებლებში სავალდებულო გაჰხადოს ინგლისურის ენის სწავლება.

— მთავრობამ ამას წინად ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ სამხედრო ექიმებს ჯამაგირი მოემატოთ. ეხლა გაზ. „Одесск. Нов.“-ი იუწყება, რომ მთავრობამ ეს საგანი უკვე განიხილა და ექიმების სასარგებლოდ გარდასწყვიტაო. უმცროს ექიმებს მოემატებათ თვეში 35 მანეთი. მომატებულს ჯამაგირს ექიმები მომავალის წლის მარტიდგან მიიღებენ.

— ფინანსთა სამინისტროს წინაშე, გაზ. „Нов. Вр.“-ს სიტყვით, კავკასიის ნავთის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც ნავთის წარმოებაა, დაარსებულ იქმნას რამდენიმე დაბალი სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში მუშათა შვილებს ნავთის წარმოების საქმეს ასწავლიან.

— „Русс. Л.“ ი სწერს: აზრადა აქვთ შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული დაწესებულება, რომელმაც უნდა განაგოს ფარმაცევტთა საქმეებს. შუამდგომლობის აღძრამდე ამ საგანს ჯერ ფარმაცევტთა კრება განიხილავს.

— როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად სატახტო ქალაქის გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ აზრადა აქვთ მომავალს წელს ქ. ეკატერინოსლავში უმაღლესი სამთო ინსტიტუტი დააარსონო. ეხლა გაზ. „Русс. Л.“-ი იუწყება, მთავრობამ საბოლოოდ გარდასწყვიტა დაარსებულ იქმნას ხსენებულ ქალაქში ინსტიტუტი. ლექციების კითხვას მომავალის წლიდგან შეუდგებიან. ვიდრე საკუთარს შენობას ააგებენ სასწავლებელი მოთავსებული იქმნება დაქირავებულს სახლში.

— ამ ახლო მომავალს სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება მოხდება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ახალი პროექტი საფარმაცევტო განათლების საქმეში ცვლილებათა შემოღების შესახებ. აზრადა აქვთ პროვიზორებისათვის დაწესონ სახელმწიფო ეგზამენი და სამსახურში მათ ისეთივე უფლება მიანიჭონ, როგორც მკურნალებსა აქვთ. იმათ, ვისაც ფარმაციის მაგისტრის ხარისხის მიღება ენდომება, ორი წელიწადი უნდა დაჰყონ უნივერსიტეტთან: პირველ წელიწადს დაიჭირონ გამოსაცდელი ეგზამენი, ხოლო მეორე წელიწადს დისსერტაცია დაიცვან. აზრადა აქვთ ფარმაცევტთა უფლებანი გაუთანასწორონ მედიცინის დოქტორის უფლებათ.

— პეტერბურგის ერობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ პეტერბურგის მახლობლად დაარსებულ იქმნას დედათა სამეურნეო-სახელოსნო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ასწავლიან ხელსაქმობას, მებოსტნეობას, მებაღეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, შინაურ ფრინველების მოვლა-მოშენებას და სხვას. ასეთი სასწავლებელი პირველი იქმნება რუსეთში.

— ქალაქ ხარკოვსაც დაუწყვია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ ქალაქში დაარსებულ იქმნას უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. როგორც ვუწყით, დღემდის სამხრეთ რუსეთში ასეთის სასწავლებლის დაარსებას შუამდგომლობდნენ ქალაქები ვორონეჟი და სარატოვი. ეხლა მათ ხარკოვიც მიემატათ.

— ამას წინად ვწერდით, რომ აზრადა აქვთ საელექტრო-სატეხნიკო სასწავლებელი უმაღლეს სასწავლებლად გადააკეთონო. ამ საგნის განსახილველად, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისია იქმნა დანიშნული. კომისია უკვე შესდგომია მუშაობას.

უცხოეთი

—

ᲙᲠᲘᲢᲘ. კრიტელების სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. ამდენის ხნის მოთმობის შემდეგ თავისუფლება მოიპოვეს ეხლა და დიდიან-პატარიანად უკვლა ნეტარებასა ჭვრეტენს. იმათ გარდაუწყვეტიათ ახალი დღესასწაული დაწესონ ოსმალეთისაგან გათავისუფლების მოსაგონებლად, რომელსაც ეწოდების დღესასწაული თავისუფლებისა. შირველად ასეთი დღესასწაული გაიმართება იმ დღეს, როცა ბატონიშვილი გიორგი შეკვ კანკაში. ბერძნებს ბევრთაც ჭქონდათ ჩვეულებათ მათ ცხოვრებაში შესამჩნევ მოვლენათა აღსანიშნავად დღესასწაულების დაწესება. ასეთს დღესასწაულებს უმეტეს ნაწილად მტერზედ გამარჯვების მოსაგონებლად აწესებდნენ ხოლმე. მაგალითად, ძველის დროის ბერძნები ყოველს წელს დიდ ხანს დღესასწაულობდნენ სპარსელებზედ გამარჯვების დღეს.

სმა დადის, რომ ბატონიშვილის ამაღლაში, სხვათა შორის, საბერძნეთის ტნობილი გენერალი კასოსიც იქნებაო, რომელსაც სამაგალითო ლვაწლი მიუძღვის კრიტელებისადმი.

ევროპის სახელმწიფოთა ჯარებს, რომელნიც, წელიწად ნახევარზედ მეტი კრიტში იყვნენ ჩამდგარნი და ესლა თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებიან, დიდის აღტაცებით აცილებენ კრიტელი ქრისტიანები. რაცა იტალიისა და საფრანგეთის ჯარის კაცნი სხდებოდნენ გემებზედ სამშობლოში დასაბრუნებლად, სახლები მორთული იყო თურმე იტალიისა, საფრანგეთისა, საბერძნეთისა და კრიტის დროშებით. ეს კიდევ ცოტაა: ქალებმა ყვავილებით მოჭედილნი გზა, რომელზედაც ამ ჯარს უნდა გაეკლო. ხალხი აღტაცებით ეთხოვებოდა თავიანთ განმათავისუფლებელთ და მამასახლისები ძვირფას ყვავილების თაიგულებს აწვდიდნენ ოფიცრებს.

ბატონიშვილს გიორგის ამ კვირაში მიეღიან კრიტში. სუდის ნავთსადგურში მიეგებებიან მას დიდ სახელმწიფოთა ადმირალები, ადმასრულებელ კომიტეტის პრეზიდენტი, ქრისტიანეთა და მახმადიანთა სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენელნი და ხალხის მსრივ დეპუტატია.

დიდ სახელმწიფოთა ჯარის ოფიცრების ნაცვლად, რომელნიც დროებით პრეფექტების თანამდებობას ასრულებდნენ კანდიასა და კანეის რვა ოლქში, ადგილობრივი მოხელენი იქმნებიან დანიშნულნი, რა წამსაც კი ბატონიშვილი გიორგი შეუდგება ქვეყნის მართვა-გამგეობას. კრიტის აღმასრულებელ კომიტეტის მრავალს წევრს უმაღლეს თანამდებობას ჩაბარებენო, ამბობენ.

—

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. როგორც კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, ხონთქრისთვის მოუხსენებია სამინისტროს წევრთა უმრავლესობას, რომ ოსმალეთის საქმეები უნუგეშო მდგომარეობაშია და შველა არის საჭიროო, ისიც მოუხსენებიათ იმავე მინისტრებს, თუ, მათის აზრით, როგორი ცვლილებანი უნდა იქმნას შემოღებული საზოგადოდ. ეკვლა მინისტრი იმ აზრისა ყოფილა, რომ ცვლილების შემოღება საჭირო არისო, მაგრამ ხონთქარს იმათი არა სჯერა-რა; იგი სულ სხვა შესედულობისა ყოფილა სახელმწიფოს საქმეებზედ და ძლიერად გაჯავრებულა მინისტრებზედ, რომელნიც ცვლილებების ზემოდებას თხოულობენ. ამის გამო ჭფიქრობენ, რომ შესაძლოა ოსმალეთში ესლანდელი სამინისტრო დაუცესო.

—

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ცოდვე ის ხმა გაისმის გაზეთებში, რომ რუსეთის წინადადებას ჯარების შემცირების შესახებ უკვლა სახელმწიფო აღტაცებით მიეგებაო, და ცოდვე იმასაც ამბობენ, რომ ესა თუ ის სახელმწიფო ჯარის მომატებას აპირებსო. ინგლისმა, იტალიამ და ამერიკამ სამშვიდობო წინადადების შემდეგ დაიწყეს თავიანთ სამხედრო ფლოტის გაძლიერება. გერმანიამ იმ თვი-

თვე გულგრილად მიიღო სამშვიდობო წინადადება, ეხლა ჯარების მომატებასაც კი სცდილობს თურმე. რაგორც გაზეთები იუწყებიან, გერმანიის მთავრობას აზრად ჰქონია—35 ათასი ჯარის კაცი კიდევ მიუმატოს იმ რიცხვს ჯარისას, რომელიც მშვიდობიანობის დროსა ჰყავს სახელმწიფოს. ერთი ასეული კორპუსი იქმნება შემდგარი ბავარიაში და ერთი საქსონიაში; რაც შეეხება მესამე კორპუსს, ჰფიქრობენ, რომ იგი აღმოსავლეთ პროვინციებში უნდა შესდგესო. აქედან ცხადია, რომ გერმანია სრულებითაც არა ჰფიქრობს იარაღის ყურას.

დამაგვირდი

შური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა.

მეფე ავ-გიორგი

* * *

კარდის ზეთი ძვირია, მაგრამ დიდი უგუნურება იქნება ყველა კარდის გაუქმება ამ ზეთის ერთის წვეთის მოსაპოვებლად.

ჰეინე

* * *

მჯობ არს საზრდელი, ზომით ღონიერ ქმნილი, სერსა მდიდარსა, მქონებელსა კახშთასა.

ნიკოლოზ ტფილელი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ერთს გაზეთში დაბეჭდილია ცნობები შესახებ ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოების მმართველთა წლიურ შემოსავლისა. ავსტრიის იმპერატორს—900,000 გირვანქა სტერლინგი, (გირვანქა სტერლინგი ერთს თუმანს უდრის), გერმანიის იმპერატორს—700,000, იტალიის მეფეს—580,000, სპარსეთის შაჰს—500,000, ბელგიის მეფეს—132,000, შვეიცარიასა—115,000, ჰოლანდიის დედოფალს—60,000, საბერძნეთის მეფეს—52,000, პრეზიდენტს ფორს—49,000, პრეზიდენტს მაკ-კინლეის—10,000, შვეიცარიის პრეზიდენტს—600.

* * *

ერთს რუსს ინჟენერს, გვარად რუტევსკის, გამოუგონია მანქანა, რომელსაც ფოსტის ყუთში გამართავენ ხოლმე. ყუთში, რომ წერილი ჩაგდოს კაცმა, მანქანა იმ წამსვე აღნიშნავს ზედ იმ დღესა, საათსა და წუთს, რომელშიაც წერილი ყუთში ჩაუგდიათ.

* * *

რუსეთის ერთის რკინის გზის მოხელეთ ნამყოფმა სერგეევმა მიჰმართა ზოგიერთ რკინის გზების მმართველებს და სთხოვა თქვენის გზების ლიანდაგებზე შემოიღეთ სახმარებლად ჩემ მიერ გამოგონილი ტელეფონის მანქანაო. თუ მატარებელი გზაში გაჩერდა, ამ მანქანით შეიძლება იმ წამსვე მატარებლიდგან კაცი დაელაპარაკოს რკინის გზის სადგურზე მყოფ მოხელეებს. მანქანა კიდეც გამოსცადეს და ძლიერ კარგი აღმოჩნდა.

* * *

ერთი მცოდნე კაცი ბ-ნი ბ. ლ. კიუნი ამტკიცებს, რომ ჭინჭრის თესლი საუკეთესო და სასარგებლო საჭმელია ცხენებისათვის და კიდევაც ძლიერ ასუქებსო. თურმე ჭინჭრის თესლს ცხენებს დანიაში აჭმევენ დღეში სამჯერ თითო მუჭას, ბზეში არეულს.

* * *

გაზეთები სწერენ, პეკინიდგან ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის იმპერატორი ისე ძლიერ არის ავად, რომ დღე-დღეზე მოელიან იმის სიკვდილსაო. იმპერატორი ისე სუსტად არის თურმე, რომ სიარული აღარ შეუძლიან.

* * *

პარიჟის ვამოფენის საქმე თანდათან წინ მიდის. ეხლა ყველა დარწმუნებულია, რომ გამოფენა დანიშნულ დროსთვის მზად იქმნება. ჯერ-ჯეროობით დახარჯულია სულ 28 მილიონი ფრანკი. პარიჟმა თავის მხრივ გადასდო 20 მილიონი, მთავრობამ გადასდო 15 მილიონი, დანარჩენი ფული-კი გადახდილი იქმნება კერძო შემოსავლიდგან.

* * *

ინგლისის გაზეთები სწერენ, რომ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის სტუმრობა ოსმალეთს 16 მილიონ ფრანკად დაუჯდა. ქალაქი ბეირუტი სულ ერთიანად ვაკოტრდა და რაც ფული ჰქონდა, სულ დაჰხარჯა იმპერატორის დახვედრაზე. ეხლა ამბობენ, რომ ქალაქმა ფული უნდა ისესხოს თავისს საჭიროებათათვის და მომავალის წლის გარდასახადი უნდა მოიკრიფოსო.

* * *

ეხლახან გარდაცვალებულს დიდს ჰერცოგინას მარიამ ტოსკანელს დარჩა 7 შვილი, 33 შვილი-შვილი და 36 შვილი-შვილიშვილი.

* * *

გაზეთები სწერენ, რომ ამ დღეებში ზღვაში დაიღუპა გერმანიის ლლოიდის გემი „კობლეცი“. ამ გემზე 500—600 მგზავრი ყოფილა, რომლებიც ბრაზილიაში მიდიოდნენ ანტვერპენიდგან.

ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

პირუტყვთა ქცევის წამალი ასე უნდა მომზადდეს: აიღეთ წყალდასუსხმული კარი და ნახევარ გირვანქა გოგირდის ფქვილი (კაზისათვის რომ სმარობენ). ეს ორივენი ერთად კარგად უნდა დაიფშვნას და ერთმანეთში გაიღესოს. ამის შემდეგ ცოტ-ცოტად წყალი უნდა დაესხას ხუთ გირვანქამდე და ადუღოს, ვიდრე მოეჭირებულ მუქ, ჩაის ფერს დაიჭერს. მიხეამ ამ წამალს იხმარდეთ, ქვეიანი პირუტყვი კარგად უნდა გაბანოთ ნაცარ-ტუტით და საპნითა და მარტო ამის შემდეგ ზემოხსენებული წამალი მაუდის მჩარით მოსცხოთ და წაუსვათ იქ, სადაც ქვეი აქვს. სამჯერ, ოთხჯერ რომ წაუსვას თურმე ეს წამალი, საკმარისია, რომ პირუტყვი სულ მთლად მორჩესო ქვეისაგან.

დეპეშა

21 ნოემბერი

პეტერბურგი. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესის შვილებით ყირიმიდგან პეტერბურგში დაბრუნდნენ.

ასხაბადი. 4 დეკემბერს დაიწყება რკინის გზის მიმოსვლა იმიერ-კასპიის მურლაბის შტოსი მერვისა და კუშკას შუა.

კონსტანტინეპოლი. ოთხის დიდის სახელმწიფოს საელჩოთა თარჯიმანებმა გადასცეს ოსმალეთის მთავრობას უწყება საბერძნეთის ბატონიშვილის დანიშვნის შესახებ კრიტის კუნძულის მთავარ-კომისარად. უწყებაში, სხვათა შორის, სწერია, რომ ოთხი დიდი სახელმწიფო ეცდება დაიცვას კრიტის კუნძულზე ოსმალეთის სახელმწიფო მოვალეობანი.

კანეა. აკროტირისა და ჰალეპოს აჯანყებულნი დიდის ამბით შევიდნენ ქალაქში იარაღის ასაყრელად. მცხოვრებნი აჯანყებულთ დიდის ამბითა და აღტაცებით მიეგებნენ.

ვენა. გაზეთებში დაბეჭდილია წერილები იმპერატორის იუბილეის შესახებ; ყველა გაზეთები დასების განურჩევლად ადიდებენ იმპერატორს, ვითარცა ევროპის მშვიდობიანობის დარაჯს, რომელიც ერთგულად ასრულებს თავისს მოვალეობასაო. ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. ქუჩები სავსეა ხალხით, ყველანი მორთულნი არიან შავ-ყვითელ ლენტებითა და სახსოვარ მედალებით.

22 ნოემბერი

ლონდონი. ვაჭრობის მინისტრმა რიტჩიმ კროიდონში სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა, ჩვენი ქვეყანა უფრო ახლო იყო ომზე, ვიდრე ეს ბევრს ეგონა, მაგრამ თუ არავის ეშინოდა, ეს იმიტომ, რომ ერსა სჯერა, ჩვენს მთავრობას საკმაო ღონისძიება აქვს თავის დასაცველადაო.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად მყოფმა გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა ბლეკვერნში და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მთავრობამ სრული ნდობა მოიპოვა ერის მხრივ, რადგანაც ამ ჟამად ინგლისსა და გერმანიას შორის სრული თანხმობა არსებობს. შემდეგ ორატორმა იკითხა, რატომ არა სცდილობენ რუსეთთანაც კავშირის შეკვრას ჩინეთის საქმის გამოო? ჩინეთის საქმე ყველა სხვა საქმეებზე საძნელოა როგორც ინგლისისა, ისე სხვა ქვეყნებისათვისაც. აზიისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ინგლისისა და რუსეთის მთავრობის შორის კავშირი იყოს შეკრული. ორატორმა ის აზრი განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა კეთილ-სინდისიერად ზრუნავს მშვიდობიანობისათვისაო.

23 ნოემბერი.

პეტერბურგი. შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებულ კომისიისაგან: „ანზობში 18 ნოემბრამდე შავის ჭირით აღარავინ გამხდარა ავად; არც ამ ჟამად არის ვინმე ავად. სხვა ადგილებში მშვიდობიანობაა.

ბროზნი. ახვერდოვის ადგილებში იწვის ნ წყარო ნავთისა და ტბა.

რიგა. აქ მოვიდა საერო განათლების მინისტრი.

პარიჟი. დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვის მომხრეებმა და პიკარის სამართალში მიცემის მოწინააღმდეგეთ გამართეს დიდი კრება. თავმჯდომარედ იყო ინსტიტუტის წევრი დიუკლო. ორატორთა შორის იყვნენ: ანატოლ ფრანსი, პოლრეკლიუ, ბიუსონი, რეინაკი. ორატორებმა ლაპარაკეს სამხედრო სასამართლოს წინააღმდეგ და ადიდებდნენ პიკარს, რომელიც, იმათის სიტყვით, იქმნება, გამტყუნებულ იქმნას, მაგრამ განაჩენს სისრულეში ვერ მოიყვანენ, რადგანაც პიკარის პატივის მცემელნი შესძლებენ ხელი შეუშალონ ასეთს უკანონობას.“ ალემონმა განაცხადა, ჩემის აზრით კავენიაკის დასი ბულანჟიზმს წააგავს და რესპუბლიკის დასაჩქველად ემზადებაო. პროფესორმა ლანგლუამ სთქვა, რომ თუ პიკარი გაამტყუნეს, ხალხი შესძლებს სამხედრო სასამართლოს ბრჭყალებიდგან დაიხსნას იგი. კრებამ აღტაცებით მოისმინა ის წინადადება, პიკარს ჩვენი გაოცება გამოვუცხადოდ იმის მოქმედებისა გამო და შემდეგ მორიგ საქმეებს შევუდგეთო. კრების შემდეგ ათასამდე კაცმა მანიფესტაცია გამართეს გაზეთის „ლიბრ პაროლის“ რედაქციასთან და ჰყვიროდნენ „გაუმარჯოს პიკარსაო!“ ჩხუბის შემდეგ პოლიციამ დაჰშალა მანიფესტანტების ბრბო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ნოემბერი.

	მყიდველისა.	გაყიდველისა	გაყიდველისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	218½	— „	
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „		99¾
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	100	— „	— „
5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	100	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	99¾	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	306½	— „	
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	258½	— „	

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კვალი“-ს მე-45 და 46 №-ში იყო დასტამბული, ვითომ მე ყიფიანის დაცვის დროს საზოგადოთ სტუდენტების წინააღმდეგ მელაპარაკოს ოლქის სასამართლოში. დავარწმუნებ ყველა იმათ, რომელთაც ჩემზედ ამისი ეპქვი შემოუტანიათ, რომ სტუდენტების წინააღმდეგი და საზოგადოდ იმათ შესახები არ მითქვამს-რა; მე ვიყავი წინააღმდეგი მხოლოდ ბ-ნის გელეიშვილის მოწმეთა იმ ორიოდ სტუდენტისა, რომელთა სინამდვილეს მოკლებული მოწმობა იქავე საბუთით დაუმტკიცდათ; რაიცა შეეხება იმას, რომ „სტოროჟი“-ს წერეთლის მოწმობა უფრო სარწმუნოდ მივიღე, ვიდრე მოწმე სტუდენტისა, ეს რა ვუყოთ? სიმართლეს ვერავის ვერ წავართმევთ. რადგან დიდად ვწუხვარ ჩემზედ ასეთს ცილის წამებას და მინდა უფრო ნათლად და ცხადად დარწმუნდეს საზოგადოება ჩემს სიმართლეს, ვსთხოვ უმორჩილესად სიმართლის აღდგენას ბ-ნთ დავით ბესარიონის ძეს მდივანს, გრიგოლ ივანეს ძეს გველესიანს, სიმონ კვიტაშვილს და ანტონ გელაზაოვს, რომელნაც დაესწრენ ოლქის სასამართლოში გელეიშვილისა და ყიფიანის საქმის გარჩევის დრდს.

მელქისედეკ ფაღავა

შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მუზეუმს შესწირეს:

1, ეკატერინე ნიკოლოზის ასულმა ნაზაროვმა—23 ნაჭერი ძველი ფული ვერცხლისა, სპილენძისა და ნიკელისა.

2, თ. დავით მიქელაძემ—წერილი მარიამ დედოფლისა დავით იოსელიანის მიმართ.

3, მღ. იოანე გვარამაძემ—სომპური ხელთ-ნაწერი „პროკლე დიოდოხოსის კავშირი“, გადათარგმნილი ქართულიდგან.

4, ნიკოლოზ ზაქარიას ძემ მათიაშვილმა—72 ნაჭერი ვერცხლისა და სპილენძის ძველი ფული და ჟეტონები.

5, ზაქარია ივანეს ძემ ჩხიკვაძემ—2 ნაჭერი სპილენძის ძველი ფული.

6, ანტონ ნიკოლოზის ძემ ფურცელაძემ—1 ნაჭერი ვერცხლის ძველი ფული.

7, მანანა ზაქარიას ასულმა გეხტმანმა—განსვენებულის კნ. ბარბარე ჯორჯაძის ხელთ-ნაწერები.

8, მთავარმა ნიკოლოზ—ქართველმა შვილმა—კურთხევანი და ჟამნი, დაბეჭდილნი ვახტანგ მეფის დროს.

9, დარია სულხანოვისამ—ქართული-რუსული და ფრანგული წიგნები.

10, თეოდოტე სახოკიამ—ერთი ქართული ხელთ-ნაწერი, 1 გაქვავებული ხის ნაკოფი და ოთხი სხვა-და-სხვა არქეოლოგიური-ძველ-ნივთი.

11, ფილიპე გურულმა—თოფის ლულა-პატარა ნაჭერი.

12, თ. აკაკი წერეთელმა—15 ნაჭერი-სპილენძის ძველი ფული.

13, ბართლომე ვარდიაშვილმა—5 ნაჭერი სპილენძის ძველი ფული.

14. ისაკ ბახტაძემ—1 ნაჭერი ვერცხლის ძველი ფული.

15, ალექსი დადიაშვილმა—2 სპილენძის ფული რუსუდან დედოფლისა.

16, გიგო ყაჯარდუზოვმა—1 ვერცხლის ძველი ფული.

17, იოსებ ივანეს ძემ კალანდაძემ—ხელთ ნაწერი სამართლის წიგნი მეფე ვახტანგისა.

18, ოლგა ნიკოლოზის ასულმა ბეჟანიშვილმა—ხელთ-ნაწერი ჟამნი.

19, თ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძემ—ორი ხელთ-ნაწერი (სულხან ორბელიანის ლექსიკონი და მარტირიკა ანტიოქიელ კათალიკოზისა) და ორი დაბეჭდილი წიგნი (სახარებანი წმ. დიდის ხუთშაბათისა, პარასკევისა და აღდგომისა და დაბადება ბაქარის გამოცემული).

20, გრ. ტატიშვილმა—ბზის ხისგან მოჭრილი გული, დავრიშების სახმარებელ.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.
Коробка съ пухови. 80 к.
Коробка безъ пуховки 50 к.
(11—მ.—6)

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ
тифлисское церковное
ДРЕВЛЕХРАНИЛИЩЕ
და ისყიდება სიონის სიძველეთ-საცავსა და წერა-კითხვის მაღაზიაში.
ფასი 20 კაპ.
სიძველეთ-საცავი ღიაა კვირაობით
შესვლის ფასი 20 კაპ. (10—მ.—10)

სურდოს წამალი
ოლფაქტორიუმ ნუდილინი
მ. ნ. ᲥᲘᲛᲣᲜᲬᲙᲘᲡᲐ
ისყიდება 40 კაპეიკად ყველა აფთიქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (12—3)

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲛ
ᲛᲘᲘᲚᲦ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲐᲓ
ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ
კარლ მარქსისა
სტრუვეს მიერ ნათარგმნი.
(5—136—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Ноября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ